კიევი. ცენტრალური სტადიონი. 5 ივლისი.

“დინამო” (კიევი) - “დინამო” (თბილის) - 1:1 (0:0).

კიევი: რუდაკოვი, დოცენკო, სოსნიხინი, მატვიენკო, რეშკო, ტროშკინი, ბოგოვიკი (ვერებუევი), პუზაჩი, კოლოტოვი, მედვიდი (მიშოვეცი), ხმელნიცკი.

თბილისი: ურუშაძე, ძოძუაშვილი, ჭელიძე, ხურცილავა, ებრალიძე, პეტრიაშვილი, გავაშელი, მაჩაიძე, ყიფვიანი, გ. ნოდია (კუტივაძე), ლ. ნოდია (მეტრეველი).

მსაჯი: ვ. რუდნევი (მოსკოვი).

დუბლიორები - 2:0 კიეველთა სასარგებლოდ.

... ბურთმა, რომელიც კიეველმა ხმელნიცკიმ გაიტანა თბილისის “დინამოს” კარში 78-ე წუთზე, ხანგრძლივი დავა გამოიწვია მინდორზე. თვით მსაჯი - ვ. რუდნევი ყოყმანობდა, არ იყო მტკიცედ დაჯერებული საკუთარ გადაწყვეტილებაში და თბილისელი ფეხბურთელების აქტიური პროტესტის შემდეგ გვერდითი მსაჯისკენ გაემართა საკონსულტაციოდ. გოლი მან მაინც ჩათვალა.

სიტუაცია ამ მომენტში ძალზე რთული იყო და თამაშგარე მდგომარეობის ზუსტად გარკვევას გამოცდილი მსაჯის დაკვირვებული თვალი სჭირდებოდა, ხოლო ჩვენ ტელეეკრანზე გოლის გამეორებისას შევამჩნიეთ, რომ ხმელნიცკის წინ, შორეულ ძელთან, იმყოფებოდა მხოლოდ ერთი მცველი, მაგრამ ურუშაძე წინ იყო გასული საჯარიმო მოედანზე. ფეხბურთის კოდექსი კი შავით თეთრზე მეტყველებს, რომ თამაშგარე მდგომარეობა არაა მაშინ, როცა ფეხბურთელს წინ ჰყავს სულ ცოტა 2 მოწინააღმდეგე. ამ შემთხვევაში ხმელნიცკის წინ არ იყო ეს 2 მოწინააღმდეგე.

ამ მომენტზე აქცენტს ვამახვილებთ იმიტომ, რომ ხმელნიცკის გოლს შეეძლო გადაეწყვიტა მატჩის ბედი. მანამდე ბურთი არ გასულა არც ერთ კარში, თუმცა პირველივე წუთებიდან მოყოლებული მინდორზე მიმდინარეობდა შეუპოვარი, უკიდურესად დაძაბული ბრძოლა. თამაში სულ ახალი დაწყებული იყო, როცა კიეველები რაღაც იღბლად გადაურჩნენ გოლს, შემდეგ კი თვითვე დაკარგეს ანგარიშის გახსნის საუკეთესო შესაძლებლობა.

მცირე ტერიტორიული უპირატესობა, რომელიც მასპინძლებს პირველ ტაიმში ჰქონდათ, შესვენების შემდეგ, დაახლოებით, 20-25 წუთის მანძილზე, განუწყვეტელ შტურმად იქცა. რამდენიმე თითქმის უიმედო ბურთისგან გადაარჩინა სტუმრები ურუშაძემ, წამით არ ჰქონდათ მოსვენება მცველებს, ნახევარმცველთა დასახმარებლად სისტემატურად უხდებოდათ მინდვრის სიღრმეში დახევა თავდამსხმელებს, რომლებიც ამ პერიოდში სრულიად მოკლებული იყვნენ თავიანთ ძირითად ფუნქციათა შესრულებას.

განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსად მიგვაჩნია ამ მატჩში მაჩაიძე. იგი იყო ერთადერთი, ვინც ბურთის ტარებისა და დრიბლინგის მეშვეობით აჩერებდა წინ თამაშს და სულის მოთქმის საშუალებას აძლევდა საკუთარ დაცვას, ამას გარდა, სწორედ მაჩაიძის რეიდები იყო ყველაზე სახიფათო და ძნელი მოსაგერიებელი მოპირდაპირე მცველთათვის.

მას შემდეგ, რაც ხმელნიცკიმ ზემოაღნიშნულ ვითარებაში შეძლო ბურთის გატანა თბილისელთა კარში, მატჩის ბედი თითქოს საბოლოოდ იქნა გადაწყვეტილი. კიეველებს ხელიდან არ უნდა გაეშვათ გამარჯვება, მაგრამ თბილისელები არ შეურიგდნენ მარცხს, ბოლომდე იბრძოლეს და აქაც ყველაზე უფრო მაჩაიძემ გამოიჩინა თავი. მიმდინარეობდა შეხვედრის ბოლო წუთი. საფინალო სასტვენს სულ

რაღაც წამები აკლდა, როცა მაჩაიძემ კიდევ ერთხელ შეასრულა თავისი რეიდი, გავიდა 2 მცველს შორის, დაასწრო კარიდან წინ გამოსულ რუდაკოვს და შორეულ დაბალ კუთხეში გაიტანა ბურთი - 1:1. მსაჯმა ვეღარც მოასწრო თამაშის განახლება ცენტრიდან.

“ლელო”, 7 ივლისი, 1971 წ.